<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევისთვის, ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევს, ბანაკის დასახლების I ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,000
X=486540 Y=4615735
I ჩიხი
X=486498 Y=4615702
ხათუნა ჭიჭინაძის ქ.
X=486444 Y=4615656
ხათუნა ჭიჭინაძის ქ.
X=486621 Y=4615615

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის პოეტის ვანლერ დაისელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს პოეტის ვანლერ დაისელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:2,000
X=486559 Y=4615737
X=486613 Y=4615698
I ჩიხი
X=486620 Y=4615637
ვანლერ დაისელის ქ.
X=486608 Y=4615455

19/032.016838-03.

ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

მოქალაქე, ლევან ზედგინიძე
მის: ქალაქ თბილისი, ისანის რაიონი,
საბანაკოს დასახლება პირველი ჩიხი #24.
ტელ: 577 75 76 28.
პ/ნ: 05001000277.

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისში, ისანის რაიონში არის ქუჩა საბანაკოს დასახლების პირველი ჩიხი სადაც ქუჩის ნუმერაციაც არის არათანმიმდევრული.
დამატებითი ინფორმაციისთვი გაცნობებთ რომ, მე-6 მელაანის ქუჩის გაგრძელებაა აღნიშნული ჩიხი.
მოგმართავთ თხოვნით, მე-6 მელაანის ქუჩა გაგრძელდეს საბანაკოს პირველი ჩიხის ბოლომდე შესამაბისი ნუმერაციით, ან/და გადაერქვას სახელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ან გმირის სახელით.
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისა და გულისხმიერებისათვის.

16. 06. 2020.

პატივისცემით,
ქალაქ თბილისის, ისანის რაიონის,
საბანაკოს დასახლება პირველი ჩიხის
მცხოვრებთა სახელით
ლევან ზედგინიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032019597
თარიღი: 13/07/2020
პინი: 0480

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ურბანული განვითარების სამსახურს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ლევან ზედგინიძის 2020 წლის 16 ივნისის საქმე #19/032016838-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს საბანაკოს დასახლების I ჩიხის და მელაანის VI ქუჩის სახელის ცვლილებას.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ურბანული განვითარების სამსახური

წერილის ნომერი: **67-01201963065**
თარიღი: **14/07/2020**
პინი: **6090**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

15-032019597.

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.07.2020 წლის #03-032019597 (14.07.2020წ. #14-01201961730-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

ხათუნა ჭიჭინაძე

(1901-1938)

ქართველი რეპრესირებული მსახიობი

დაიბადა ქუთაისის მაზრის ს. ჭოლევში, შავი ქვის მრეწველ სიმონ ჭიჭინაძის ოჯახში. 1908-1918 წლებში სწავლობდა ქალაქ ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში; 1919 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, პარალელურად გახდა აკაკი ფაღავას სტუდიის მსმენელი, სადაც სამსახიობო ოსტატობის და მეტყველების კურსი ცნობილ მსახიობ ე. სატინას მიჰყავდა, ხოლო სასცენო მოძრაობას ვალენტინა ვენდეროვიჩი ასწავლიდა.

1924 წელს დაამთავრა სტუდიაში სწავლა და ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში; 1928 წელს რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დასთან ერთად გადავიდა ქუთაისში, სადაც ამოქმედდა „ქუთაის-ბათუმის მეორე სახელმწიფო დრამა“; 1930 წელს მონაწილეობდა მოსკოვსა და ხარკოვში გამართულ გასტროლებში, სადაც მას კრიტიკა საუკეთესო მსახიობად მოიხსენიებდა; გასტროლების შემდეგ, 1930 წლიდან, მარჯანიშვილის თეატრთან ერთად დაბრუნდა თბილისში, სადაც ყოფილ „ზუბალშვილების სახალხო სახლში“, თეატრი „მეორე სახელმწიფო დრამის“ სახელით გააგრძელა მუშაობა; მის მიერ განსახიერებული მნიშვნელოვანი როლებია: ხასინტა - „ცხვრის წყარო“, ოფელია - „ჰამლეტი“, ხატიჯე - „ხატიჯე“, დარია, დესპინე - „ნინოშვილის გურია“, კომისარი - „ესკადრის დაღუპვა“, ლუიზა - „ვერაგობა და სიყვარული“ გულთამზე - „ყვარყვარე თუთაბერი“, ელენე ჩერედა -„ ანათეთ ვარსკვლავებო“ და სხვ. 1935-1937წწ. მუშაობდა რადიოკომიტეტში და „საქფილექტში“ (ფილარმონია). ხათუნა ჭიჭინაძეს ბრალად ედებოდა ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადება. დაპატიმრებიდან 6 თვის შემდეგ დანაშაული აღიარა. დახვრეტა მიუსაჯეს 1938 წლის 3 მარტს; სასჯელი სისრულეში მოიყვანეს მეორე დღეს, 4 მარტს. რეაბილიტირებულია 1956 წლის 18 ივლისის ამიერკავკასიის

სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით. საბჭოთა პარტიული მოღვაწის გიორგი ყურულაშვილის მეუღლე.

ვანლერ დაისელი

(1903-193?)

მოდერნისტი პოეტი

ივანე სერგოს ძე ბაბუაძე, დაიბადა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1927 წლიდან.

წერდა პატარა ლექსებს; ავტორია პოეტური კრებულებისა: „მზის სისხლი“ (1926), „გული და დღეები“ (1927), „გუშინ და ხვალ“ (1928); ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობა „ლივილა“ (1927). ლიტერატურული ორდენის „სომნამბულების“ დამფუძნებელი; ის თავისი შემოქმედებით მუდმივად აპროტესტებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და წითელ დიქტატურას. მხოლოდ 1922-1925 წლებში სამჯერ იქნა დაპატიმრებული ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის. არაერთი დაკავების და სისტემატიური დევნის მიუხედავად, არ უშინდებოდა არსებულ რეჟიმს.

პოეტი ბოლშევიკებმა 1929 წელს მეოთხედ დააპატიმრეს და 3 წლით გადაასახლეს. ვანლერ დაისელი გადასახლებიდან არ დაბრუნებულა, 1932 წელს არხანგელსკში ქრება მისი კვალი. სავარაუდოდ ის 1932 წელსვე შეეწირა რეჟიმს, იმსხვერპლა პოლიტიკურმა რეპრესიებმა.